№ 78
შაბათი, 10 აპრილი, 1899 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 78
შაბათი, 10 აპრილი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარია
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" გამგეობამ მიიღო ბ-ნის გუბერნატორისაგან ნებართვა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ.

სეირნობა და ბაზარი გაიმართება მაისის დამდეგს. ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ბაზრის გამართვას, შემოწირულება უნდა გამოუგზავნოს ტფილისში კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ხელ-ახლად გამართულ იქმნა მაღაზია
## ე. ფ. ლანკოლსი,

სადაც კედელზედ გასაკრავი ქაღალდი (შპალიერი) ისყიდება.

სასახლის ქუჩა, ახალი სახლი სარაჯიშვილისა. მაღაზიამ მიიღო მრავალი შპალიერი რუსულ და უცხო ქვეყნის ფირმებისაგან და მისი მოსართავები.

ფასი იმდენად იაფია, რომ მეტოქეობას ვერც ერთი ვაჭარი ვერ გაუწევს. (3—212—1).

**ჩვეულებრივი წლიური კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა**

დანიშნულია 21 აპრილს, ოთხშაბათს, დილის თერთმეტ საათზე, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) დამტკიცება 1898 წლის ამხანაგობის წლიურის ანგარიშისა; 2) მიღება მთავრობის სანიმუშო წესდების თანაბრად შემუშავებულ ახალის წესდებისა; 3) არჩევა ამხანაგობის მდივნისა; 4) ნებართვა ამხანაგობის მმართველისადმი ამხანაგობის აღებ-მიცემობისათვის საჭირო სესხის აღებისათვის და 5) მოხსენება ამხანაგობის მმართველისა, თუ როგორ დაუახლოვდეს უფრო მეტად ამხანაგობა ერთის მხრით ჩვენებურ მეაბრეშუმეებს და მეორეს—საზღვარგარეთელ მუშტრებს. (10—6.—4)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

## მთავრობის განკარგულებანი.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი უმაღლესის კარის კამერგერი თავადი წერეთელი დამტკიცებულ იქმნა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ხარისხში.

## ახალი ამბავი

⁂ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" ნება მიეცა გაჰმართოს მუშტაიდის ბაღში საქველ-მოქმედო აზრით სეირნობა და ვაჭრობა. შემოსავალი გადაიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. („კავკასი")

⁂ ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი თ. ა. ბიკოვი, რომელიც ტფილისის ნაფიც ვექილთა სიაში ჩაეწერა, მანთაშევის ფირმას მიუწვევია თავისს იურის-კონსულტად.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება მიეცა მიიღოს საჩუქრათ ზ. გ. ერისთავისაგან მისი მამული „ოძისი". ამ მამულში უნდა დაარსდეს სამეურნეო სასწავლებელი. („ტფ. ფ.")

⁂ დღეს, 10 აპრილს, საღამოს 8 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო დარბაზში გამართულ იქნება საუბარი მეფუტკრეობის შესახებ.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ სააღდგომოდ მისალოცი დეპეშები ჩვეულებრივად ადრე უნდა წარმოადგინონ კანტორაში. ვინაიდგან ძლიერ ბევრი მოგროვდება ხოლმე და შეიძლება თავისს დროზე ვერ მიიღონო. დეპეშები მიიღება 12 აპრილიდგან. სააღდგომო დეპეშებს უნდა წააწერონ სიტყვა „მისალოცი" და ამ ერთ სიტყვაში სატარიფო ფასი არ გამოერთმევათო.

⁂ გაზ. „კავკ."-ის სიტყვით, პოლკოვნიკს გ. გ. ყორღანოვს, ბოდბის წმინდა ნინოს მონასტრისათვის შეუწირავს ერთი ნაჭერი მიწა, რომელიც იმყოფება ყორღანოვის ქუჩაზედ. აზრადა აქვთ ამ მიწაზედ ააგონ მონასტრის ნიში, მაგრამ რადგანაც შეძლენა არა აქვთ მონასტრის გამგეთ, იმედი აქვთ, რომ კეთილ-მორწმუნე ქრისტიანენი თავისს წვლილს არ დაიშურებენო.

# ფელეტონი

### უცხოთა შორის

მუშათა აწინდელი მდგომარეობა.—მუშათა კლუბები ინგლისში.—რაოდენობა კლუბებისა.—როგორ ატარებენ დროს მუშები კლუბებში.—კლუბების საერთო კავშირი.—ამ კავშირის მოქმედება.—„პარლამენტის საზოგადოება".—სხვა ქვეყნების მუშათა კლუბები.—ბერლინის ხელოსანთა კავშირი.

მოგეხსენებათ, რომ ევროპასა და ამერიკაში დღითი-დღე მუშათა მდგომარეობა უმჯობესდება. დღეს იქ მუშა შედარებით ისე გაჭირვებული აღარ არის, ისეთ წვალებასა და ტანჯვას აღარ იტანს, როგორც წინად, იგი იმდენად უვიცი, შეუსმენელი და უცოდნელი აღარ არის, როგორიც წინად იყო. პირიქით გუშინდელი ყურ-მოჭრილი მონა ფულის პატრონისა, საკუთარის პატივისა და ღირსების არ მქონე მუშა, დღეს, რასაკვირველია, უმეტეს ნაწილად, შესმენილს, გონიერს და ბევრის კარგისა და ავის მცოდნე არსებას წარმოადგენს. ყოველ დღიურ სამუშაო დროს შემცირებამ და მუშაობის ფასის მომატებამ ძირიანად შესცვალა მუშა ხალხის მდგომარეობა. უწინ მუშას დილიდგან დაწყობილი საღამომდის 14, 15, 16 და ხან 18 საათის განმავლობაში ერთი წუთი თავისუფალი დრო არა ჰქონდა, იგი ერთს საქმეს ადგა და ამ საქმის გარდა არაფერზედ ზრუნვა, ფიქრი არ შეეძლო. მაგრამ რაკი ყოველდღიური სამუშაო დრო შემცირდა და იმის შრომასაც მეტი ფასი დაედო, მუშას შეძლება მიეცა სხვა არსებით საჭიროებაზედაც ეფიქრა. რასაკვირველია, აქ პირველი ადგილი გონების განვითარების საქმეს უნდა დაეჭირა და ასეც მოხდა.

ამ ჟამად ევროპის სხვა და-სხვა სახელმწიფოს მუშები თავისუფალ დროს (თავისუფალი დრო-კი დიდი აქვთ, რადგან ზოგან დღეში 8 საათზედ მეტს არა ჰმუშაობენ) უმეტეს ნაწილად იმ სწავლა-ცოდნის შეძენას ანდომებენ, რომელსაც სხვანი, უფრო ბედნიერნი, ახალგაზდობის დროს სასწავლებლებში იძენენ. ამ აზრით იმართება მუშათათვის კურსები, ლექციები, არსდება „სახალხო უნივერსიტეტები" და სხვანი. სხვათა შორის დღეს განათლებულ ქვეყნების მუშათა ცხოვრებაში ერთი თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს ესრედ წოდებულ „მუშათა კლუბებს". ეს კლუბები ბევრით განირჩევა იმათგან, რომელსაც თითქმის ყველა ქალაქსა და დაბაში შეხვდებით. თუმცა ძალიან ხშირად ამ კლუბებშიაც იმართება სხვა და სხვა დროს გასატარებელი საღამოები, მაგრამ უპირველესს ყოვლისა კლუბი მუშათათვის წარმოადგენს სკოლას, ისეთ დაწესებულებას, სადაც ისინი ცოდნას იძენენ, გონებას ანვითარებენ, ქვეყნის ავ-კარგს იგებენ. ყოველ კლუბთან უეჭველად არსებობს წიგნთ-საცავი, სადაც მრავალი სხვა-და-სხვა შინაარსის წიგნსა და ჟურნალ-გაზეთს შეხვდებით, კლასები, სადაც მუშები ამა თუ იმ საგანს საგანგებოდ სწავლობენ, იმართება წარმოდგენები, კონცერტები, და სხვა.

მუშათა კლუბებით განსაკუთრებით სახელგანთქმულია ინგლისი. დიდი ქალაქები რომ მხედველობაში არ მივიღოთ, ისეთი მცირე სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი და დაბა არ არის, სადაც მუშებს საკუთარი კლუბი არა ჰქონდეთ. ინგლისში ამ ჟამად სულ ცოტა მუშათა 4,000 კლუბი არსებობს. ყველა ამ კლუბს ერთად 2 მილიონზედ მეტი წევრი ეყოლება. კლუბებში, რასაკვირველია, დიდს ყურადღებას აქცევენ სხეულის ვარჯიშობას და გიმნასტიკას. ბევრ კლუბთან არსებობს საბილიარდო ოთახი, საცეკვაო დარბაზი, საველოსიპედო ასპარეზი და სხვა.

საწევრო გარდასახადი ყველგან ერთნაირი არ არის, თუმცა საზოგადოდ-კი ყველგან მცირეა. ბევრს კლუბის წევრები თვეში მხოლოდ 10—20 კაპეიკს იხდიან, 50 კაპეიკს მაინც ეს გარდასახადი ძალიან იშვიათად აღემატება. ასეთის მცირე გარდასახადის წყალობით თითქმის ყველა მუშას შეუძლიან ამა თუ იმ კლუბის წევრად ჩაეწეროს. ყველა კლუბის უმთავრესს და უპირველესს საზრუნავს წიგნთ-საცავი შეადგენს. როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, 1893 წელს 366 კლუბის წიგნთ-საცავში 114,515 ტომზედ მეტი ყოფილა. გაზეთები ხომ ბევრ კლუბს ათობითა და ასობით მისდის.

როგორც უკვე ვთქვით, კლუბში საღამოობით ხშირად იმართება წარმოდგენები, კონცერტები, ლექციები და სხვა. წარმოდგენებს და კონცერტებს თვით კლუბის წევრები ჰმართავენ, ხოლო ლექციების წასაკითხად უმეტეს ნაწილად იწვევენ უნივერსიტეტის პროფესსორებს და სხვა და სხვა საშუალო სასწავლებლების მასწავლებლებს. კლუბს ყოველგვარი მოწყობილება აქვს წარმოდგენებისა და კონცერტების გასამართავად: სცენა, დეკორაციები, მუსიკა, პიესები, სურათები და სხვა. კლუბი არასოდეს არ არის ცარიელი, მუდამ სავსეა მუშებით: ზოგი გაზეთს ჰკითხულობს, ზოგი ლექციას უგდებს ყურს, ზოგი ცეკვაობს და სხვა.

აი, რას ამბობს ერთის კლუბის შესახებ რუსულს ჟურნალში ერთი მწერალი, რომელსაც ინგლისში მუშათა კლუბები დაუვლია და დაუთვალიერებია: „კლუბი ხალხით იყო გატენილი. საბილიარდო ოთახში მრავალი ელოდდა თამაშობის რიგს. სამკითხველოში თავისუფალი სკამი აღარ მოიპოვებოდა. მაგიდაზედ სხვა-და-სხვა მიმართულებისა და შინაარსის ჟურნალ-გაზეთები ეწყო. მთავარ დარბაზში პიესას არდგენდნენ თვით კლუბის წევრები. ყოველ კვირა დღეს ამ კლუბში დილაობით ლექციებსა კითხულობენ, ხოლო საღამოობით კონცერტებსა ჰმართავენ; სამშაბათობით საცეკვაო საღამოა ხოლმე, რომელზედაც წევრებს შეუძლიანთ მიიყვანონ თავიანთი ცოლები, ქალები, დები დანარჩენ დღეებსაც სხვა და სხვა საქმეებს ანდომებენ: ერთს დღეს იმართება მიტინგი, მეორეს—საბავშვო საღამო, მესამეს—გიმნასტიკა და სხვა. წელიწადში ამ კლუბს 10,000 მანეთი ხარჯი აქვს: სააღდგომის ქირა—1400 მანეთამდეა, განათება—1200 მანეთი უჯდებათ, გადასახადი და სხვა-და-სხვა ქონების დაზღვევა—710 მანეთი, წარმოდგენების, კონცერტების და საღამოების გამართვა 1,790 მანეთი, ჯამაგირი კლუბის მდივანს—500 მანეთი და სხვა".

არსებობს ინგლისში აგრეთვე მუშათა განსაკუთრებული საპოლიტიკო კლუბებიც. მარტო ლონდონში 85 ასეთი კლუბი აქვთ მუშებს. ამ კლუბებში უმთავრესად სჯა-ბაასია საპოლიტიკო საგნების შესახებ. ლექციებსაც უმეტესად ამავე საგნების შესახებ კითხულობენ.

წევრების რიცხვი ყველა კლუბში ერთნაირი არ არის: ზოგგან ბევრია

⁂ გუშინ, 9 აპრილს, ტფილისის მოურავმა წარუდგინა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს განმარტება იმის შესახებ, რაც აღმოაჩინა პოლკოვნიკის სვეჩინის და ინჟენერის ფლორინის რევიზიამ ტფილისის კეთილ მოწყობილებისა და სასანიტარო-საპოლიციო მდგომარეობის შესახებ. ამ განმარტებიდგან სჩანს, რომ ქალაქის კეთილ-მოწყობილებისათვის ქალაქის ინჟენერის აზრით და ანგარიშით საჭიროა: ნაგავის და ათას გვარი უწმინდურების გასაზიდავათ ქალაქმა შეიძინოს საკუთარი ურმები, რომლებიც ეღირება 180,000 მან. გააკეთოს საზოგადო ფეხის ადგილები და მისადგომები, უკვე არსებულთა გარდა, რომელიც დაჯდება 10,000 მ., განახორციელოს საკანალიზაციო პროექტი ლინდლეისა, რასაც დასჭირდება 5.200,000 მ., გაკეთდეს საუკეთესო ქვაფენილნი, მოიკირწყლოს ყველა ქალაქის ქუჩები, რისთვისაც საჭიროა 1.500,000 მ., გაკეთდეს ახალი ხიდები—ღირებული 250,000 მ., გაფართოვდეს წყლის მილები, რომ დღეში 3 მილიონ ვედრას იძლეოდეს, რაც ლინდლეის პროექტით ეღირება, 3.000,000 მ., გამაგრებულ და უზრუნველყოფილ იქმნენ რიყე და წყლის ნაპირის ქუჩა წყალ-დიდობისაგან, რასაც მოუნდება 300,000 მან. ამ გვარათ ქალაქის კეთილ-მოწყობისათვის საჭიროაო 10,500,000 მანათი.

⁂ ბატონ ტფილისის პოლიცმეისტერს დაურიგებია ყველა ბოქაულებისათვის მოწოდებანი და სიები ხელის მომწერლებისათვის და სთხოვს მათ, რომ ფულები შეჰკრიბონ მცხეთის ტაძრის განსაახლებლად.

⁂ გაზეთ „ტფილ. ფურც.“ სიტყვით, სამხედრო და საერო წოდების პირთაგან შემდგარ კომისიას უკვე შეუმუშავებია პროექტი კავკასიაში ყაჩაღობის მოსპობის შესახებ და ახლო მომავალში პროექტი იგი წარედგინება სათანადო მთავრობას დასამტკიცებლად.

⁂ ტფილისის ოლქის საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი აბელი სთხოვს ქალაქის გამგეობას, შეატყობინონ, რა გვარად იყო განაწილებული შრომა ქალაქის მოურავისა და გამგეობის წევრთა შორის 1898 წლის 17 ოქტომბრიდგან, ვიდრე ქალაქის გამგეობის რევიზია დაიწყებოდაო. („კავკ“).

⁂ გურია. ისეთი სიცხეებია ჩვენში, როგორც შუა ზაფხულში. მიწა გამოახმო მეტისმეტმა გვალვამ, ასე რომ, სახნისი ველარ ეკარება ზედ. როგორც მოგეხსენებათ, გურიის ზეგანი ადგილები ამ თვეში იხვნება და ითესება სიმინდი. ამ თვეს თუ გადაშორდა იმათი დახვნა, მერმე ალარაფერი მოვა ზედ; მაისისათვის ერთობ მცირე ადგილი რჩება გურიაში დასახნავ-დასათესად, აპრილში თუ არ გაავდარდა და სიმინდების დათესვა ვერ მოვასწარით, ცუდი დღე დაგვადგება.

⁂ ქუთაისი. ბევრჯელ თქმულა, მაგრამ მეტი არ იქნება კიდევ გავიმეოროთ, რომ აქაური ნოქრები სწორედ რომ უნუგეშო მდგომარეობაში არიან. საქმე ის არის, რომ იმათთვის არ არსებობს არც უქმე, არც კვირა დღე, არც წირვა-ლოცვა და არც ეკკლესია. მთელ კვირაობით, თვეობით და წლობით განუშორებლივ არიან მაღაზიებში და როგორ შეუძლიანთ ფეხის მოცვლა, როგორ გაჰბედვენ ან წირვა მოისმინონ და ან წმ. ზიარება მიიღონ. ყველასათვის არსებობს კანონი და სამართალი და, როგორ მოხდა, რომ ქუთათურ ნოქრებისათვის კანონს შეადგენს მაღაზიების პატრონების თვითნებლობა?! დიდის ხნის ლოდინის შემდეგ გვეგონა, რომ ეხლა მაინც დაადგენდა ქუთაისის ქალაქის საბჭო, რომ კვირა დღეობით თავისუფლება მინიჭებოდათ აქაურ ნოქრებს, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა; ისეთი ხმოსნებიც-კი არ შევიდნენ ჩვენს მდგომარეობაში, რომელთა დიდი იმედი გვქონდა და რომელნიც წინაზედ მუდამ მოსარჩლენი იყვნენ ყველა ჩაგრულისა. უბედურება კიდევ ის არის, რომ ჩვენი უფროსები გვემუქრებიან,—თუ კრინტი დაგიძრავთ თქვენს სასარგებლოდ, მაშინვე დაგითხოვთო.

ვნახოთ, ღმერთი რას მოისურვებს ჩვენთვის.

⁂ გორი. თითქმის სამი წელიწადია, რაც გორის ოქონის ეკკლესიასთან სამრევლო სკოლა დაარსდა. ამ სკოლამ მოკლე ხანის განმავლობაში დიდი ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებისა და ყველა იმას აქებს. ამ ქება-დიდებას საზღვარი არა აქვს. კაცმა რო სთქვას, არც უსაბუთოა ეს ქება. ერთს კვირა დღეს შევედი ზემოხსენებულს ეკლესიაში, სადაც გალობდა მთელი გუნდი ბავშვებისა იმისთანა სასიამოვნოდ, რომ ყოველს გალობის მცოდნეს სასიამოვნოდ დარჩებოდა. ამ გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ, მაგრამ უფრო იმოქმედა იმ გარემოებამ, რომ ერთმა ბავშვმა „წაიკითხა სამოციქულო მშვენიერის ქართულის კილოთი. არ მეგონა, თუ ეს პატარა სასწავლებელი ასე გაზდიდა ბავშვებს. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, სკოლის ასეთი ნაყოფი მიეწერების ენერგიით აღსავსე მასწავლებელს ბ-ნ პარკაძეს. ოქონის ეკლესიაში, მინამ ეს სკოლა გაიხსნებოდა, არავინ არ დადიოდა წირვა-ლოცვაზე; ეხლა-კი რომ მობრძანდეთ წირვის დროს ტევაც არ არის ხოლმე.

---

## ტფილისის გუბ. თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

9 აპრილი

კრება დაიწყო დილის $11^1/_2$ საათზედ. თავმჯდომარეობდა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი საგინაშვილი. პირველად განხილულ იქმნა ტფილისის გუბერნიაში მიწების გამიჯვნის დაჩქარების საქმე.

თავ. ი. გ. ამილახვარი. თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ 4 მარტს დამავალა მომეწვია მცოდნე კაცები, გამიჯვნის საქმის შესახებ მომელაპარაკნა და იმათთან ერთად შემემუშავებინა ის, რაც საჭიროა ამ საქმისათვის, ეს მონდობილება მე შევასრულე: მოვიწვიე რამდენიმე კაცი, მათ შორის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბ-ნი სმიტენი, პალატის წევრი, რომელიც გამიჯვნის საქმეებს განაგებს, ბ-ნი დოლგოვი, საყვარელიძე და სხვანი და იმათის დახმარებით შევიმუშავეთ 1897 წელს გამოცემულ ცნობების დასამატებელი წესები ამიერ-კავკასიაში მიწების გამიჯვნის დასაჩქარებლად. გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, წაიკითხოთ ეხლა ეს წესები და აცნობოთ იგი საზოგადო კრებას.

წაკითხულ იქმნა წესები.

ა. ნ. ფურცელაძე. ეს საქმე მეტად საყურადღებოა და ამიტომ ასე ადვილად მაგის გარდაწყვეტა შეუძლებელია; წესები მხოლოდ დღეს დაგვირიგეს და ჯერ ვერ გავიცანით და გავიგეთ დაწვრილებით. საჭიროა ამ საქმის განხილვა გადავსდოთ.

ეს-ვე აზრი წარმოსთქვეს თავ. ვ. მაყაშვილმა, ბ-ნმა ნასიძემ, თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილმა, თავ. რ. ქ. ვაჩნაძემ და სხვათა.

კრებამ დაადგინა: ეს საგანი განიხილოს მაშინ, როდესაც ამ კრებისათვის წარსადგენის საგნების განხილვას დაამთავრებს.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ. მოახსენა ეს საგანი კრებას თავ. ვეზირიშვილმა.

თავ. ვეზირიშვილი. დღევანდელი სასამართლო და ის წეს-რიგი საქმის წარმოებისა, რომელიც ამ სასამართლოში სწარმოებს, ეჭვი არ არის ბევრად უკეთესია იმ სასამართლოს წესებზედ, რომელიც სასამართლოს ცვლილებათა შემოღებამდე არსებობდა. ამისდა მიუხედავად დღევანდელ სასამართლოსაც ბევრი ნაკლულევანება აქვს და პირველი ის არის, რომ აწინდელი მოსამართლე არ იცნობს იმ ხალხს, სადაც ჰმოქმედებს, იმათ ზნე-ჩვეულებას, წეს-რიგს. ამის თავიდგან ასაცილებლად საჭიროა მთავრობის სამოსამართლო დაწესებულებათ ნაფიცი მსაჯულნიც მივაშველოთ. სწორედ ეს ნაფიცი მსაჯულნი შეავსებენ იმ ნაკლს, რაც დღეს სამოსამართლო დაწესებულებათა აქვთ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ ლაპარაკი ეხლა პირველი არ არის. ეს საგანი კარგა ხანია, რაც აღძრულ იქმნა, მაგრამ მაშინ არ განხორციელდა, რადგანაც რამდენიმე დამაბრკოლებელი მიზეზი სცნეს. ამ მიზეზებად დასახელებულ იქმნა: ხალხის გაუნათლებლობა, რუსულის ენის არ ცოდნა, ერთა შორის ბრძოლა, ტომთა სხვა და სხვა-

---

და ზოგგან ცოტა. არის კლუბი რომელსაც 300 წევრზედ მეტი არა ჰყავს, მაგრამ ისეთიც მრავალია, რომელსაც წევრები ათასობითა ჰყავს.

მუშათა კლუბების განვითარებას ინგლისში ხელს უწყობს ამ კლუბების საზოგადო კავშირი. ამ ჟამად საზოგადო კავშირს 600 კლუბი ეკუთვნის. კავშირი შესდგა 1862 წელს. კავშირის პირველ თავმჯდომარეებად იყვნენ ლორდები ბრუმი და ლიტლეტონი. დედოფალმა ვიქტორიამ, არგაილისა და დევონშირის ჰერცოგებმა და გრაფმა როზბერიმ პირველ ხანს დიდი შეწევნა და მფარველობა აღმოუჩინეს ამ მუშათა კლუბების კავშირს. კავშირის შტოს შეადგენს მანჩესტერის კლუბთა საზოგადოება, რომლის პრეზიდენტადაც ითვლება მანჩესტერის ეპისკოპოსი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად—ბალფური და პროფესორი მენრო.

როგორც ვთქვით, ამ კავშირში დღეს 600 კლუბზედ მეტი ითვლება. გაერთიანებულს კლუბებს სულ 200,000 წევრამდე ეყოლება. კავშირის მთავარი სამმართველო, რომელიც საკავშირო კლუბების უმთავრესს საქმეებს განაგებს, ლონდონში იმყოფება და მოთავსებულია საკუთარს სახლში. ეს სახლი 200 ათასი მანეთი ღირს. კავშირი, იმის გარდა რომ სცდილობს სხვა კლუბებიც შემოიერთოს, ახალსაც ბევრს აარსებს. 20 წლის განმავლობაში კავშირის მიერ ინგლისის სხვა-და-სხვა ადგილას დაარსებულ იქმნა 100 კლუბზედ მეტი. იმ კლუბმა, რომელსაც ჰსურს კავშირს შეუერთდეს, უნდა ერთხანად გარდაიხადოს 1 მ. 25 კაპ. და ამდენივე ყოველ წლიურად. მაგრამ ამას გარდა საჭიროა კლუბმა სხვა პირობებიც აასრულოს, რათა კავშირის წევრად იქნას ჩათვლილი. სახელდობრ, კლუბის საქმეები უნდა განაგონ მხოლოდ თვით კლუბისავე წევრებმა-მუშებმა და არა გარეშე კაცებმა, კლუბში არ უნდა იყიდებოდეს მაგარი სასმელები და სხვა.

კავშირი ჰბეჭდავს ყოველ თვიურ ჟურნალს, რომელსაც 12 ათასი ხელის მომწერი ჰყავს. რაც ამ ჟურნალს მოგება რჩება, ჰხმარდება კავშირის მიერ დაარსებულ განსაკუთრებულ დაწესებულებას, რომელსაც საგნად ისა აქვს, რომ კლუბის ავადმყოფ წევრებს ხელი შეუწყოს, შემწეობა აღმოუჩინოს, დაეხმაროს.

იმ კლუბს, რომელიც კავშირს უერთდება, სხვა კლუბებთან შედარებით, ბევრი სარგებლობა და უპირატესობა ენიჭება. უპირველესს ყოვლისა ასეთის კლუბის წევრი ყველა იმ კლუბის წევრადაც ითვლება, რომლებიც კავშირთან არიან შეერთებულნი. ამას გარდა, კავშირი უგზავნის კლუბებს მცირე ფასად წიგნებს, საჭირო ბლანკებს, აწვდის ამა თუ იმ ცნობასა და დარიგებას, ჰბეჭდავს წიგნაკებს, წერილებს კლუბების საქმეების შესახებ და სხვა. კავშირსა აქვს თავისი საკუთარი მდიდარი წიგნთ-საცავი, საიდგანაც ცალკე კლუბებს და ამ კლუბის წევრებს შეუძლიანთ გამოიწერონ დროებით წიგნები. კავშირი ჰმართავს სხვა-და-სხვა მოგზაურობას, მიჰყავს კლუბების წევრები (ხან 200, 300 და 500 კაცი ერთად) ინგლისის სხვა-და-სხვა შესანიშნავ ადგილისა და გამოფენის დასათვალიერებლად. კავშირივე სცდილობს გამართოს კლუბებთან კლასები, იწვევს ლექტორებს ლექციების წასაკითხად და სხვა.

მაგრამ კავშირი მარტო კლუბების განვითარება-გაძლიერებისათვის არა ჰფიქრობს, იმის ერთ უმთავრესს საზრუნავს შეადგენს აგრეთვე მუშათა ქონებრივად და ზნეობრივად გაუმჯობესებაც. ამ აზრით იგი ხელს უწყობს მუშათა შორის ისეთ ამხანაგობათა და საზოგადოებათა დაარსებას, რომელთაც აზრად საურთიერთო დახმარება, შემწეობა აქვთ. საზოგადოდ კავშირის მოქმედება მრავალმხრივი და მეტად ნაყოფიერია. ამ ნაყოფიერ მოქმედებისათვის კავშირი დაჯილდოვებულ იქმნა ოქროს მედლით ამსტერდამის გამოფენაზედ 1869 წ. და პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ 1889 წელს.

საჭიროა მოვიხსენიოთ ერთ გვარი კლუბებიც, რომელთა წევრებიც თუმცა უმთავრესად სასწავლებლების, ესრედ წოდებულ პოლიტეხნიკუმების, მოსწავლენი არიან, მაგრამ მუშებსაც შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ ამ კლუბების საქმეებში და წევრებად ჩაეწერნენ. საღამოები, კონცერტები და მიტინგები ამ კლუბებშიაც იმართება, მაგრამ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ყველა ასეთ კლუბთან არსებობს „პარლამენტის საზოგადოება“. ამ საზოგადოებას ჰყავს თავისი სამინისტრო, მინისტრები და ყველა ის დასი, რაც ინგლისის ნამდვილ პარლამენტს: რადიკალები, ლიბერალები, კონსერვატორები, სოციალ-დემოკრატები, უნიონისტები და სხვა. მუშები ამ „პარლამენტში“ სოციალ-დემოკრატებს შეადგენენ. ყოველ კვირას პარლამენტს კრებები აქვს. „სამინისტროს“ ის დასი ირჩევს, რომლის წევრებიც უმრავლესობას შეადგენენ.

როგორც წინადაცა ვთქვით, მუშათა კლუბები ყველაზედ ძალიან ინგლისშია გავრცელებული; საზოგადოდ ეს ქვეყანა კლუბების დედა-ქვეყანაა. არც ერთს სახელმწიფოში არ შეჰხვდებით იმდენ კლუბს, რამდენსაც ინგლისში. იქ ყველა წოდებისა, შეძლებისა, საქმისა და ხელობის კაცებსა აქვთ კლუბი. მაგრამ სხვა ქვეყნის მუშათა შორისაც იშვიათი მოვლენა არ არის კლუბი ან სხვა რამ ამ გვარი დაწესებულება. ამ ჟამად მოვიხსენიებთ მხოლოდ ბერლინში არსებულ ხელოსანთა კავშირს. ამ კავშირის აზრი და საგანი თითქმის იგივეა, რაც ინგლისის მუშათა კლუბებისა; თავისს წევრებს შეძლება მისცეს სწავლა-ცოდნის შეძენისა და გონივრად დროს გატარებისა. 1895—96 წელს კავშირის წევრებისათვის წაკითხულ იქმნა 104 ლექცია (14 ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ, 14 საერო განათლებისა, 19 ჰიგიენისა, 19 პოლიტიკურ ეკონომიისა, 11 ისტორიისა და სხვათა შესახებ). კავშირთან გამართულია კურსებიც, სადაც ასწავლიან როგორც საზოგადო საგნებს, აგრეთვე განსაკუთრებულსაც. 1895—96 წელს ყველა კლასში დაიარებოდა კავშირის 1608 წევრი. კავშირს მეტად მდიდარი წიგნთ-საცავი აქვს, რომელსაც 100-მდე ჟურნალი და გაზეთი აქვს დაკვეთილი. საღამოობით, როგორც ინგლისის კლუბებში, იმართება აქაც კონცერტები, წარმოდგენები, კითხვები და სხვანი. ძალიან ხშირად კავშირი აგრეთვე სასარგებლო მოგზაურობასაც ჰმართავს. ზოგჯერ მთელს გემს ქირაობს და 600, 700 თავისს წევრს ჰგზავნის ამა თუ იმ ქალაქის, ამა თუ იმ შესანიშნავი ადგილის დასათვალიერებლად და დროს გასატარებლად.

ასევე სცხოვრობენ და გონივრად ატარებენ თავისუფალ დროს ევროპის ბევრის სხვა სახელმწიფოს მუშებიც.

ი. ა—ძე

ობა და სხვა. ერთა სხვა და სხვაობა და ტომთა შორის ბრძოლა აქ მოსატანი არის: ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა დიდს უმრავლესობას ქართველები შეადგენენ; სოფლის მცხოვრებნი მხოლოდ ქართველები არიან. ამას გარდა მაგალითი არცკი ყოფილა ერთა შორის ბრძოლის გამო რაიმე საქმე აღძრულიყო სასამართლოში. მაშასადამე, ამ ვითომდა მიზეზს არ შეუძლიან რაიმე დაბრკოლება გაუწიოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საქმეს. რაც შეეხება ხალხის გაუნათლებლობას და რუსულ ენის არ ცოდნას, ამ მხრივ დღეს ის აღარ არის, რაც წინად იყო. ხალხი საკმაოდ განათლებულია და რუსულის ენის ცოდნაც საკმაოდ გავრცელებულია ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა შორის. უკანასკნელ 14 წ. განმავლობაში მარტო ტფილისის სხვა და სხვა საშუალო სასწავლებელში სწავლა თითქმის ათას-ექვსას კაცმა დაამთავრა, ხოლო სამაზრო ქალაქების სამოქალაქო სასწავლებლებში 3600 კაცამდე. პირველ დაწყებით და სამრევლო სკოლებში სწავლა-დამთავრებულნი კიდევ სხვაა. ამ რიგად ტფილისის გუბერნიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საქმეს დღეს არავითარა დამაბრკოლებელი მიზეზი არა აქვს. (ტაშის ცემაა.)

ცოტა ოდენის კამათის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ.

კრებამ დაადგინა აგრეთვე აღძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაშიაც შემოღებულ იქმნას წესი, რომლითაც ბანკს ნება ექმნება ერთის კაცის მიერ ხელმოწერილ თამასუქით გასცეს სესხი.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სასწავლებლებში ერეკლეს სახელობის სტიპენდიების დაარსებისა და ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის ერეკლეს სახელწოდების საქმის განხილვა. კომისიას დაუდგენია სტიპენდიები დაარსებულ იქმნას იმ შემოსავლიდგან, რომელსაც თავად-აზნაურთა სახლი მისცემს ვალების გასტუმრების შემდეგ. ამასთან საბოლოოდ სტიპენდიების საქმის გარდაწყვეტა მიენდოს იმავე კომისიას. რაც შეეხება სათავად-აზნაურო სკოლისათვის ერეკლეს სახელწოდებას, კომისიას უცვნია, რომ ვინაიდგან სკოლას განაგებს „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება“, ამიტომ სკოლის სახელის შეცვლაც მხოლოდ ამ საზოგადოებას შეუძლიან და არა თავად-აზნაურობას.

კრებამ კომისიის პირველი წინადადება შეიწყნარა, ხოლო სკოლის სახელწოდების შესახებ დაადგინა სთხოვოს ზემოხსენებულ საზოგადოებას დაარქვას სათავად-აზნაურო სკოლას მეფე ერეკლეს სახელი.

დასასრულ კრებამ მოისმინა და დაამტკიცა ანგარიში იმ კომისიისა, რომელიც თავად-აზნაურთა ქონებას განაგებს. როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, ამ ქონებას შემოსავალი ჰქონდა სულ 72,187 მან. 99 კაპ., თუ მივაკლეცთ 1897 წ. ნაშთი 1823 მ. 45 კ., ხარჯი—69,790 მან. 12 კ. დარჩენიათ 2447 მ. 87 კ., რომლიდგანაც 2,000 მან. სესხად მიუციათ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის. კომისიის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით სათავად აზნაურო ქონებას ამა მიმდინარე წელს შემოსავალი ექმნება 65,880 მანეთი, ხარჯი იქმნება 55,880 მ. ამ რიგად 1900 წლისთვის დარჩება 10,000 მანეთი.

კრება გადაიდო დღეისათვის. დღეს, 10 აპრილს, დილის 10 საათზედ დაიწყება კრება.

## წერილი რაჭიდგან

აქაურ ხალხს ჯერ ცრუმორწმუნეობიდგან თავი ვერ დაუღწევია. აი, მაგალითებრ, ამ ერთის თვის განმავლობაში რა ამბები მოხდა: სოფ. ნიკორწმინდას ერთი მოხუცებული ქალი მიუწვევიათ ორ ახალგაზდა მანდილოსანთ თავიანთ სახლში ვითომდა სადილად. მოხუცებული შესულა თუ არა სახლში, სცემია ორი ახალგაზდა მანდილოსანი საწყალ მოხუცს და გახურებულის რკინით დაუდაღავთ. საბრალო დედაბერს ჯერ გული წასვლია და როდესაც გონს მოსულა, საშინლად დაუწყია კივილჩხავილი. კივილზედ შესულან მეზობლები და ძლივს გამოუგლეჯიათ დედაბერი მასპინძლების ხელიდგან. როდესაც უკითხავთ, რად ჩაიდინეთ ეს საქმეო, ერთ მანდილოსანთაგანს უთქვამს: სამი შვილი გამაჩნდა და სამივეს გული მაგან ამოაცალა, კუდიანიაო. იმიტომ დავდაღეთ, რომ სხვა დროს აღარ ჩაიდინოს ცუდი საქმეო. საბრალო დედაბერი ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ამ საქმის შესახებ ეხლა გამოძიება სწარმოებს.

სოფ. წესს ამ ორის კვირის წინად ორმა მკლავაძემ, რუსმა და ქართველმა გლეხმა გ—ო ბურ—ძემ, მოიტაცეს გზაში მიმავალი ქალი და გაწბილებული მიატოვეს გზის პირად.

სოფ. სორს გლეხის ვლადიმერ მკერვალიშვილის მეუღლემ მოიწამლა თავი დარიშხანით და სამის დღის შემდეგ სიცოცხლით სავსე ყმაწვილმა ქალმა სული განუტევა. როგორც შეიტყო ეს ამბავი ამ სოფლის მღვდელმა მამა თადეოზ მინდელმა, ყოველი ღონისძიება იხმარა ქალის მორჩენისათვის, მაგრამ ამაოდ. მამა თადეოზს, როგორც ექიმობაში სახელ-განთქმულს, ამ ქალის მორჩენის იმედიცა ჰქონდა, მაგრამ საბრალო ქალს, როგორც გავიგე, ერთი მუჭა საწამლავი შეეჭამა. მერე ვინ მისცა უბრალო სოფლის ქალს საწამლავი, როდესაც საწამლავის გაყიდვას სასტიკად უკრძალავს მთავრობა ვაჭრებს? როგორც გავიგეთ, საწამლავი მიუცია იმ ქალისთვის სოფელში მაწანწალა მეწვრილმანე ებრაელს რეფელა აშიკაშვილს. ამ ამბავს ჯერაც არ მიუღწევია მთავრობის ყურამდე.

არ არის იმისთანა გლეხი თუ აზნაური, რომელ სოფელშიაც ის ებრაელი დადის, რომ მისგან მიცემული თაგვის შაქარი არა ჰქონდეთ. იმედია, მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარს ამისთანა ვაჭრების ასალაგმავად.

რაჭაში ჯერ-ჯერობით კარგი ამინდებია, ხალხი გავიდა სამუშაოდ ტყესა და მინდორში.

ვანო ქიქინაძე

## სტუდენტთა არეულობის შესახებ.

დასასრული *)

კიევის უნივერსიტეტში მოძრაობა ჯერ ისევ ნოემბერში დაიწყო და აღმოცენდა ეროვნულ ნიადაგზედ. სტუდენტების ერთმა ნაწილმა, ნამეტნავად პოლონელებმა და ებრაელებმა, მოისურვეს მიცკევიჩის ძეგლის კურთხევის დღეს ვარშავაში მისალოც დეპეშის გაგზავნა კიევის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტების სახელით. ამ დეპეშით უნდა ედიდებინათ პოლიტიკური მოღვაწეობა მიცკევიჩისა და გაეკიცხათ ისინი, ვინც განიძრახა გრაფის მურავიოვის ძეგლის აგება. დეკემბერში ისე გამწვავდა ეს მოძრაობა, რომ უნივერსიტეტის მთავრობა იძულებული შეიქმნა გამოერიცხა 9 კაცი—მოთავენი და წამქეზებელნი მოძრაობისა და სწავლა შეეჩერებინა ნათლიღებამდის, როდესაც უქმეების შემდეგ ჩვეულებრივად გაიხსნება ხოლმე უნივერსიტეტი. ამ მღელვარების დროს შეერთებულ „ზემლიაჩესტვო“-თა საიდუმლო საბჭომ დაჰბეჭდა რამდენიმე მოწოდება, სადაც სასტიკად ჰკიცხავდნენ გრაფ მურავიოვს, ხოლო მიცკევიჩის რევოლიუციონურ მიმართულებას-კი ხოტბა-დიდებით იხსენიებდნენ. 16 თებერვალს, იმ დროს, როცა პეტერბურგიდგან სტუდენტების აჯანყების ამბავი მოუვიდათ, კიევის უნივერსიტეტში ხელ-მეორედ იჩინა თავი სტუდენტთა უწესოებამა და მღელვარება მაინც არ შეწყვეტილა, თუმცა 20 თებერვალს უმაღლესი ბრძანება გამოიცა. ვინაიდგან ბოლო არ ეღებოდა ამბოხებას და ამასთანავე თვალ-საჩინო დემონსტრაციულ მიმართულებაც მიეცა ამ მღელვარებასა, უნივერსიტეტის მთავრობა კვლავ იძულებული გახდა გამოერიცხა 52 უმთავრესი აგიტატორი და სწავლა შეეჩერებინა.

„შეერთებულ კავშირთან“ ერთად ჰმოქმედობდა მეორე დასიც, რომელმაც „რუსეთის ეროვნულ საზოგადოების“ სახელი დაირქვა და რომელიც თუმცა ტაშს უკრავდა პეტერბურგელ სტუდენტებს ამბოხებისათვის, მაგრამ ჰკიცხავდა-კი სტუდენტთა მიერ განზრახულის აზრის განსახორციელებლად ამორჩეულ საშუალებათ.

კიევში მომხდარ სტუდენტთა არეულებას დიდის სიხარულით მიეგება კიევში საიდუმლოდ არსებული, ეგრედ წოდებული „კავშირი კიეველ სოციალ-რევოლიუციონერებისა“, რომელმაც სტუდენტების ამბოხების თანავე გამოსცა ორი მოწოდება, ერთი კიეველ ახალგაზდათა და მეორეც მუშათა მიმართ. დიდ-მარხვის პირველ კვირის შემდეგ ორი თუ სამი ლექცია სტუდენტებმა მშვიდობიანად მოისმინეს, მაგრამ შემდეგ-კი მოითხოვეს სწავლის შეწყვეტა, შეცვივდნენ აუდიტორიაში, დაიწყეს ყვირილი და პროფესორებს ლექციების კითხვა გააწყვეტინეს, ბოლოს უმთავრესის აუდიტორიის კარები ჩამოიღეს, შევიდნენ შიგ და მრავალ რიცხოვანი ყრილობა გაჰმართეს. 9 მარტს უფრო დიდი არეულობა მოხდა. ორი მოწინააღმდეგე დასი „ჰო“ და „არა“ ერთმანეთს წაეკიდნენ კიდეც. 10 მარტს ყველა სტუდენტები დაითხოვეს. უნივერსიტეტში უკანვე დაპრუნებასა სთხოვდა 2,425 კაცი, მათგან მთავრობისაგან მიღებულ იქმნა 2,181, ხოლო 244 უარი გამოეცხადა. მიუღებელთა შორის 160 ებრაელია. დათხოვნილთა რიცხვში ჯერ ჯერობით არ ურევიან სტუდენტები პირველი, მეორე და მესამე კურსისა, მაგრამ მშვიდობიანობა მაინც არ დამყარებულა და უნივერსიტეტებში ისევ მოძრაობაა.

კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში მოძრაობა დაიწყო 17 თებერვალს. 26 მარტს 200 კაცი არ გამოცხადდა ლექციებზედ და მას დღეს აქეთია სხვასაც უშლიან მეცადინეობას. მშვიდობიანობა არ ჩამოვარდნილა.

ნოვოროსსიის (ოდესის) უნივერსიტეტში, აჯანყება დაიწყო კიევიდგან გამოგზავნილის დეპუტატის მოსვლის შემდეგ, 20 თებერვალს სტუდენტებმა ყრილობა გამართეს და სწავლაც შესწყვიტეს. 4 მარტს ლექციების კითხვა განაახლეს და 22 მარტამდის განეგრძო, მაგრამ 22 მარტს კვლავ მოუვიდათ მოწოდება ხელახლად ამბოხების დაწყების შესახებ. 30 მარტს ყველანი დაითხოვეს.

18 თებერვალს ვარშავაშიც გაჩნდა კიეველ სტუდენტთა დეპუტატი (წინა დღით პეტერბურგიდგანაც მოუვიდათ დეპუტატი) და აქაც დაიწყო არეულობა. 22 თებერვალს აქაურმა მეამბოხე სტუდენტებმა საჯარო დემონსტრაცია მოახდინეს. მათ ყრილობაზედ მოსულ რექტორს, ინსპექტორს და ერთ პროფესორს, ლანძღვა-გინების შემდეგ, სხვა და სხვა ნივთები დაუშინეს. იმავე დღეს საზეითალო ინსტიტუტის სტუდენტებმა ყრილობა მოახდინეს, დირექტორი მოიხმეს, უნდოდათ თხოვნა მიერთმიათ, მაგრამ დირექტორი არ გამოცხადდა. როგორც უნივერსიტეტსა, ისე საზეითალო ინსტიტუტში მთავრობის განკარგულებისამებრ სწავლა შეჩერებულ იქმნა. 4 მარტს ვარშავის უნივერსიტეტში კვლავ დაიწყო ლექციების კითხვა და ყველანიც ესწრებოდნენ. 18 თებერვლიდგან ვარშავის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის სტუდენტებსაც მღელვარება დაეტყოთ. სამასწავლებლო მთავრობის განკარგულებისამებრ უფრო თვალსაჩინო მეამბოხე სტუდენტები დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნენ სასწავლებლიდგან და მალე ვარშავიდგანაც გაიგზავნენ თავ-თავიანთ საცხოვრებელ ადგილას. მათი რიცხვი უდრის 333 კაცს.

ახალ ალექსანდრიის სატყეო-სამეურნეო ინსტიტუტშიაც აჯანყდნენ სტუდენტები 18 თებერვლიდგან და რადგანაც მღელვარება არ მცირდებოდა, ყველანი დათხოვნილ იქმნენ.

პეტერბურგელ სტუდენტთა არეულობის ამბავი ტომსკში 24 თებერვალს გაიგეს და მაშინვე აქაურმა სტუდენტებმა ბანი მისცეს, არეულობა დაიწყეს. 2 მარტს მთავრობის განკარგულებით დათხოვნილ იქმნა 42 სტუდენტი, როგორც მოთავენი და ამათგან 36 კაცი მაშინვე გამოისტუმრეს ტომსკიდგან, სწავლაც დროებით შეჩერებულ იქმნა. 15 მარტს ყველას გამოეცხადა, რომ დათხოვნილნი ხართო. 20 მარტს ტომსკიდგან გამოგზავნეს კიდევ 14 სტუდენტი.

რიგას საპოლიტეხნიკუმო ინსტიტუტშიაც 18 თებერვალს დაიწყო აჯანყება. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით 20 თებერვალს ინსტიტუტი დაჰკეტეს. 5 მარტიდგან კვლავ განაახლეს ლექციების კითხვა, რომელიც განეგრძო 27 მარტამდის, ხოლო ამ დღეს-კი 200 კაცი კვლავ აჯანყდა, რისთვისაც ყველანი დაითხოვეს.

23 თებერვალს იურიევის (დორპატის) უნივერსიტეტის სტუდენტებმაც გაიგეს პეტერბურგელ სტუდენტთა ამბოხების ამბავი და მაშინვე ყრილობა მოახდინეს. ყრილობას დაესწრენ 588 სტუდენტი. არეულობამ აქაურ საზეითალო ინსტიტუტშიაც იჩინა თავი 24 თებერვალს. სწავლა დროებით შეაჩერეს; 4—10 მარტამდის ლექციებს კითხულობდნენ. სტუდენტობა ცოტა ესწრებოდა. 10—27 მარტამდის თითქმის ყველანი დადიოდნენ ლექციებზედ, მაგრამ 27 მარტს 500 კაცმა თავი მოიყარა და არეულობა განაახლა, რის გამოც ყველანი დაითხოვეს.

არც ხარკოვის უნივერსიტეტის ტეხნოლოგიურის და საზეითალო ინსტიტუტების სტუდენტები ჩამორჩნენ უკან სხვა საუნივერსიტეტო ქალაქების სტუდენტებს. აქაც არეულობა დაიწყო 15 თებერვალს.— ოცდა-ოთხ თებერვალს უნივერსიტეტი დაჰკეტეს. ხოლო როდესაც ლექციების კითხვა განაახლეს, ხელმეორედ გავრცელდა მოწოდებანი, „დაუცხრომელთა“-გან ხელ-მოწერილნი, რათა ამბოხება არ შეეწყვიტათ, მაგრამ უმრავლესობაზე გავლენა ვერ იქონიეს და 30 მარტამდის სწავლა არ შეჩერებულა. ყაზანის უნივერსიტეტში 24 თებერვალს სტუდენტებმა ყრილობა მოახდინეს და გადასწყვიტეს, ლექციების მოსასმენად ნუ ვივლითო. ყრილობის შემდეგ ლექციების მოსასმენად უმცირესობა დადიოდა, მაგრამ როცა გაიგეს, რომ პეტერბურგში არეულობა დაცხრაო, ყველა ფაკულტეტებს ჩვეულებრივი რიცხვი ესწრებოდა.

თუმცა სტუდენტთა საერთო არეულობაში უმცირესობა იღებდა მონაწილეობას, მაგრამ სხვა და-სხვა უმაღლეს სასწავლებლიდგან მრავალი მოსწავლე იქმნა დათხოვნილი, ვინაიდგან მათ ჯიუტობას საზღვარი არა ჰქონდა და არა სასურველიც იყო მათი ყოფნა სასწავლებლებში. ასეთივე ზომები იქნება მიღებული შემდეგშიაც, რადგანაც მოსწავლეთა თხოვნა არასოდეს არ იქნება შეწყნარებული და მთავრობა იოტის ოდენადაც არ გადასცდება იმ კანონებს, დებულებათა და წესდებათ, რომლებიც არსებობს სასწავლებელთათვის. მთავრობა არ შესცვლის არსებულ სამოსწავლო წეს-წყობილებას და ამისი იმედიც ნურავის ექმნება. ყველა ზემოთ ნათქვამის მიუხედავად, შეიძლება სასწავლებელში ისევე მიღებულ იქმნენ ყველა ის, ვინც გულწრფელად შეინანებს დანაშაულს, შეინანებს ჭაბუკურ თავდავიწყება-გატაცებას და როგორც მხვერპლი გამოუცდელობისა უარჰყოფს თავისს შეცდომებს. დიახ, ისევე მიღებულ იქმნებიან მარტო ისინი, ვინც აღიარებს თავისს დანაშაულს. რიცხვ-მრავლობა გამორიც-

*) იხ. „ივერია“ № 77.

ხულთა ტყუილად ნუ აფიქრებინებს ვისმეს, ვითომ ძალ-დატანებით გამოვიდეს რამე, ან თვით სასწავლებლები ჩავარდნენ უკიდურესს მდგომარეობაში... რაც შეეხება იმ გამორიცხულ სტუდენტებს, რომელთაც მეთაურობა გასწიეს და სცდილობდნენ ამხანაგთა აჯანყება-აღელვებასა, ვინც აგიტატორობდნენ და აყენებდნენ ახალგაზდობას იმ გზაზედ, რომელსაც სასწავლებელთა მოწოდება-მიმართულებასთან არავითარი საერთო არა აქვს რა,—ისინი არსებულის კანონის ძალით დაისჯებიან.

## რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა კერძო საქველმოქმედო საზოგადოებათ ყოველ წლივ წარმოუდგინონ ხოლმე დაწვრილებითი ანგარიში თავისის მოქმედებისა. ანგარიშში აღნუსხულ უნდა იყოს რამდენი წევრი ჰყავს ამა თუ იმ საქველმოქმედო საზოგადოებას; რა შეძლებისაა, ვისთვის რამოდენა და ან რა გვარი დახმარება გაუწევია, ან თუ ვისთვისმე უარი უთქვამს დახმარებაზე, რა მიზეზი ყოფილა და სხვ. ყველა ეს ანგარიში პირველ იანვრისათვის უნდა წარედგინოს ხოლმე სამინისტროს.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აზრადა აქვს ამ მიმდინარე წელს ტყისმცველთა საგუბერნიო კრებები დანიშნოს, რათა სასურველად გაწესრიგებულ იქმნეს ტყეების გაჩეხვის საქმე.

— ინდოეთში რომ შიმშილობა ჩამოვარდა, სხვათა შორის, რუსეთშიაც დაარსდა სხვა-და-სხვა კომიტეტები დამშეულ ინდოელთათვის ფულის მოსაგროვებლათ. უმაღლესის განკარგულებით ეს კომიტეტები დაიხურა 1897 წ., მაგრამ შემოწირულება მაინც მოდიოდა ხოლმე ამ კომიტეტის სახელობაზე, ასე რომ $19\frac{1}{2}$ ათასი მანეთი შეგროვდა. ახლა მინისტრთა კომიტეტს გადაუწყვეტია ეს $19\frac{1}{2}$ ათასი მანეთი მოახმაროს რუსების ციმბირში გადასახლების საქმესა.

— საექიმო დეპარტამენტმა განაცხადა შემდეგი: რადგანაც ექიმებს ნება აქვთ ყოველგვარი საექიმო პრაქტიკა იქონიონ და მათ შორის კბილის ექიმობაც არ აღეკრძალებათო, ამიტომ ყველა ექიმს შეუძლიან დაიარსოს კბილის ექიმობის კაბინეტიც, თუნდა განსაკუთრებული მოწმობაც არა ჰქონდეს ამ საექიმო დარგის ცოდნისაო.

## უცხოეთი

**უნგრეთი.** კოლომან სელმა როცა სამინისტრო შეადგინა, ბარონ ბანფის სამსახურიდგან გადადგომის შემდეგ, განაცხადა, რომ ყველა ერს, რომელთაც უნგრეთში აქვთ ბინა, თანასწორ მოპყრობა და არც ერთს იმათგანს არავის არ დავაჩაგვრინებო. ეს სიტყვები მაშინ ბევრს არა სჯეროდა და ასე ჰფიქრობდნენ, რომ მინისტრს უნდა მომეტებული მომხრეები მოიპოვოს როგორც პარლამენტში, ისე მთელს უნგრეთში და ამიტომ ხარჯავს ამდენ ტკბილ სიტყვებს, თორემ ნამდვილად კი ბანფის გზას არ დაადგებაო. ეხლა კი სარწმუნოდ იუწყებიან გაზეთები, რომ მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვები არ წაუღია ქარს და ის მართლაც განურჩევლად ეპყრობა უნგრეთის ყველა ქვეშევრდომს, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლადო. სელის ასეთ საქციელის დასამტკიცებლად, სხვათა შორის, შემდეგი მაგალითი მოჰყავთ:

რამდენიმე წლის წინად სედმიგრადსკის რუმინებს კომიტეტი შეუდგენიათ, რომელსაც ფულები უნდა მოეგროვებინა ხელის მოწერით შაგუნ ეპისკოპოსისათვის ძეგლის დასადგმელად. მაგრამ, მაშინდელ მინისტრ-პრეზიდენტის ბარონ ბანფის ბრძანებით, ხელის მოწერა აღუკრძალავთ, კომიტეტის არსებობა უკანონოდ გამოუცხადებიათ და მოგროვილი ფული უკელა ჩამოურთმევიათ. ეხლა კოლომან სელს აღუდგენია ის გაუქმებული კომიტეტი და ნება დაურთავს მისთვის ხელის მოწერა გამართოს ფულების მოსაგროვებლად ხსენებულ ძეგლის დასადგმელად. ჩამორთმეული ფულები უკვე დაუბრუნებია კომიტეტისათვის და ამასთანავე მოუსპია შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოსული საჩივრები იმ მღვდლებზე, რომელნიც ხელის მოწერით ფულებს აგროვებდნენ თავიანთ საყვარელ ეპისკოპოსის ძეგლისათვის.

—

**ინგლისი.** 10—12 წლის წინად, მთავრობის განკარგულებით, 5—6 ათასი ირლანდიელი ფერმერი იქმნა გამკვებული თავიანთ საცხოვრებელ ადგილიდგან, რამდენიმე უკანონო მოქმედების გამო. 1894 წელს ჯონ მორლეიმ პარლამენტს კანონ-პროექტი წარუდგინა, რომლითაც თხოულობდა, ფერმერებისათვის უკან დაბრუნების ნება მიეცათ. ეს პროექტი მოიწონა ქვედა პალატამ, მაგრამ ლორდთა პალატის მიერ უარ-ყოფილ იქმნა. ეხლა ირლანდიის ნაციონალისტმა ო'მალლეიმ ახალი პროექტი წარუდგინა პარლამენტს იმავე საგნის შესახებ, მაგრამ შინაარსი ამ პროექტისა არაფრად განსხვავდება მორლეის პროექტისაგან. ო'მალლეი თხოულობს, რომ ფერმერები ისევ დამკვიდრებულ იქმნან წინანდელს მამულებში, როგორც მოიჯარადრენი, ანუ საშუალება მიეცეთ მათ იმ მამულების გამოსყიდვისა. ახალის პროექტით, ამ საქმისათვის ფულების გატანა შეიძლება ირლანდიის საეკლესიო თანხიდგან, მაშასადამე ბრიტანიის გარდამხდელთ არა დააკლდებათ-რა ამ შემთხვევაში.

ეს პროექტი ამ დღეებში განიხილა ინგლისის საზოგადოებათა პალატამ. პროექტის ავტორს ო'მალლეის მხარი დაუჭირეს ირლანდიელმა დეპუტატებმა —დევიტმა, დილონმა და ო'კონორმა, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ამ პროექტის შეწყნარებით პარლამენტი დაამშვიდებს ირლანდიის მკვიდრთა უკმაყოფილო ნაწილს და ამ გვარად დიდს სამსახურს გაუწევს ბრიტანიის მეუდროებასო. პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკა ირლანდიის საქმეების მინისტრმა, ჯერალდ ბალფურმა. ის ამტკიცებდა, რომ პროექტის მომხრეთ აზრადა აქვთ მომავალშიაც განაახლონ თავიანთი ძველი ტაქტიკა და თუ პროექტი შეწყნარებულ იქმნა, ეს დიდად მოუმართავთ იმათ ხელსო. პალატამ 167 ხმით 69-ს წინააღმდეგ უარ-ჰყო პროექტი.

—

**საბერძნეთი.** ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა მოხსენებული, რომ საპარლამენტო კომისიამ უკანონოდ სცნო მინისტრ-პრეზიდენტის ზაიმასის დეპუტატად არჩევა კალავრიტშიო. აგრეთვე ის საბუთებიც იყო ჩამოთვლილი, რომლებითაც ხელმძღვანელობდა კომისია. ეხლა სარწმუნოდ იუწყებიან, რომ კომისიის დადგენილება არ შეიწყნარა პალატამ და ზაიმასის არჩევა კალავრიტში კანონიერად ჩასთვალაო. ამისდა მიუხედავად, როგორც ისმის, ზაიმასი მაინც აპირებს თურმე სამსახურიდგან გადადგომას და მასთან ერთად დანარჩენი მინისტრებიც გადიან. ჰფიქრობენ, რომ ახალ კაბინეტის შედგენას მიანდობს მეფე თეოტოკისსო.

როგორც სჩანს თეოტოკისს ბევრი მომხრე ჰყოლია პალატაში. ეს, სხვათა შორის, იქიდგან მტკიცდება, რომ ამ დღეებში პალატამ თავისს თავმჯდომარედ აირჩია სამხედრო მინისტრად ნამყოფი, პოლკოვნიკი თსამადოსი, რომელიც თვალსაჩინო წევრია თეოტოკისის დასისა.

—

**რუმინია.** ამ დღეებში რუმინიამ დაჰკარგა ერთი თავისი საუკეთესო პოლიტიკური მოღვაწე, 75 წლის მოხუცი ლასკარ კატარჯი. იგი იყო მეთავე და ხელმძღვანელი კონსერვატიულ დასისა. კატარჯი სამჯერ იყო რუმინიის მინისტრ-პრეზიდენტად, და უკანასკნელად 1891—1895 წ., როცა იმისი ადგილი დაიჭირა ლიბერალურ დასის მოთავემ სტურძამ. კატარჯის სიკვდილი დიდი დასაკლისია განსაკუთრებით კონსერვატიულ დასისათვის, მეტადრე ამ ჟამად, როცა სტურძას სამინისტრო დაეცა. ამბობენ, რომ კონსერვატიულ დასის ხელმძღვანელობას ან კანტაკუზენი იკისრებს და ან გენერალი მანუ, და ერთ-ერთი ამათგანს მიანდობს მეფე კაბინეტის შედგენასაო.

—

**იაპონია.** მთავრობას გარდაუწყვეტია, რომ იმ სამხედრო საზღაურიდამ, რომელიც ჩინეთისაგან უნდა მიიღოს იაპონიამ, 30 მილიონი იენი მიემატოს ფლოტის გასაძლიერებლად გადადებულს სათადარიგო თანხას, 10 მილიონი მოხმარდეს საერო განათლების საქმეს და 10 მილიონი გადაიდოს ხალხის დასახმარებლად, რომელიც მოულოდნელ შემთხვევის გამო დაზარალდება. ეს პროექტი წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად ამ მოკლე ხანში.

—

**სერბია.** ბელგრადში ხმა გავრცელებულა, რომ ალექსანდრე მეფესა და ექს-კაროლ მილანს შორის უსიამოვნება ჩამოვარდაო. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ვითომც მილანის გადასახლების შემდეგ ნიშში, მეფე დარწმუნებულიყოს, რომ დედისაგან მის სახელობაზედ რაც წერილები მოდიოდა, მილანის განკარგულებით ფოსტიდგან იპარავდნენ და მასთან მიჰქონდათ წასაკითხად. ეს ხმები თუ სიმართლეს არ არის მოკლებულიო, ამბობენ, მილანი მალე ვეღარ დაბრუნდება ბელგრადში.

—

**შვეცია.** შვეციის სამინისტროში, როგორც იუწყებიან, ამ ცოტას ხანში ცვლილება უნდა მოხდეს. მაშინვე, როცა მეფე დაბრუნდება სტოკჰოლმში, გარეშე საქმეთა მინისტრი დუგლასი სამსახურიდგან გადადგომას აპირებს თურმე. იმის მოადგილედ ასახელებენ შვეცია-ნორვეგიის ელჩს იტალიაში—ბარონს კარლო ბილდტს. სამხედრო მინისტრი ბარონი ფონ რაპპეც აპირებს თურმე თანამდებობისთვის თავის დანებებას, როცა იმპერიის სეიმის კრებები დაიშლება, და მის ადგილს დაიჭერს კრუზენშტიერნი, რომელსაც ამ ჟამად გუბერნატორის თანამდებობა უჭირავს.

## დამაკვირდი

ჯერ არს მარგლასა შინა ფრთხილ იყოს კაცი, რათა გველთა წილ არა აღმოფხვრას ჯეჯილი.

სულხან საბა

***

სპილომ ძალის მინდობითა არ გალახა ჭია.

როსტომიანი

***

სულმოკლე სულგრძელს ეუბნებოდა: „გულს მიწყრილებს შენი სულგრძელობაო“.

ლასურიძე

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აპრილი

**მოსკოვი.** სამაზრო საერობო კრებაზედ განაცხადეს, რომ ერთმა კაცმა, რომელსაც არა ჰსურს თავისი ვინაობის გამოცხადება, 100,000 მანეთი შესწირა 200 განუკურნებელ ავადმყოფთათვის შენობის ასაგებადაო.

**ლონდონი.** ჩარლზ ბერესფორდმა სთქვა გუშინ იორკში კონსერვატორთა კრებაზედ, რომ ჩინეთის გამო რუსეთთან ომის შიში ყოველივე საფუძველს მოკლებულიაო.

**შერბურგი.** ადმირალმა ბვენემემ გემზედ „Amiral Bhamer“ დიდი ნადიმი გარდაიხადა, რომელსაც დაესწრო რუსეთის კრეისერის „კრეისერ“—უფროსი. რუსეთისა და საფრანგეთის ფლოტების სადღეგრძელოები დალიეს.

**პეტერბურგი.** რადგან ძლიერ კარგად მიდის ცხენების ყიდვის საქმე მოუსავლობისაგან დაზარალებულ ადგილების მცხოვრებთათვის, შინაგან საქმეთა მინისტრმა ახალი განკარგულება მოახდინა, კიდევ იყიდონ 28,000 სული ცხენი. ამნაირად ვოლგა-კამის მხარეს ერთპაშათ მიეცემა 70,000 სულ ცხენამდე. ნასყიდი ცხენების მომეტებული ნაწილი უკვე თავისს ადგილას არის.

**პარიჟი.** ზოგიერთ გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმების წინააღმდეგ, სარწმუნო წყაროებიდგან იუწყებიან, რომ საკასაციო სასამართლოს არა დაუდგენია-რა გუშინ მოწმეების ერთი მეორესთან პირის-პირ წაყენების შესახებო. აგრეთვე სარწმუნოდ ამბობენ, რომ ბალო-ბოპრე მოხსენებას დაამთავრებს 17 აპრილსაო. ამისათვის სასამართლოს განჩინების გამოცხადება შეიძლება მაისის პირველ კვირის დამლევსო. ხმა არის გავრცელებული, რომ სასამართლოს წევრთა მომეტებული ნაწილი საქმის გადასინჯვის წინააღმდეგიაო.

**პარიჟი.** „Figaro“ ბეჭდავს ლებრენ-რენოსა და სხვა აფიცრების ჩვენებას, რომელნიც ამბობენ, რომ ვიცოდით, რა სთქვა დრეიფუსმა მაშინვე, როცა ღირსება აჰყარეს მასო. ლებრენ-რენომ აჩვენა, რომ დრეიფუსმა, გვარწმუნებდა-რა, რომ დამნაშავე არა ვარო, დაუმატაო: „მე უდანაშაულო ვარ. სამის წლის განმავლობაში გაიგებენ ჩემს უდანაშაულობას. მინისტრმა იცის ეს. დიუ-პატიმაცა სთქვა, რომ მინისტრმა იცის ესო. მინისტრმა იცის, რომ გერმანიას თუ ვაძლევდი საბუთის ქაღალდებს, ეს ქაღალდები უმნიშვნელო იყო, და ამიტომ ვაძლევდი, რომ სამაგიეროდ უფრო დიდ მნიშვნელოვანი ქაღალდები მიმეღოვო“. ლებრენ-რენომ ილაპარაკა შემდეგ, რომ მერმე მე გონზთან და პერიესთან ვიყავი და მიბრძანეს არა მეთქვა-რა ამ საგნის შესახებაო.

## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ 10 ამა აპრილს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, მისს სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რათა იჯარით გაიცეს შეშისა და ხე-ტყის მასალის საწყობად ქალაქის მიწა, რომელიც ტფილისის პოლიციის მეათე ნაწილში მდებარეობს ახალ დამოქნის პირდაპირ, და ზომით 600 ოთხ-კუთხი საჟენია. საიჯარო პირობათა შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. 3—6.—3)

**იყიდება იაფად და პირიანად**

სხვა და-სხვა საგალანტერეიო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები, პირ ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული

**შკაფი № 21.**

თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.

ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.

(20—6.—20) ი. ნიკოლაშვილი

Дозволено цензурою, Тифлисъ 9-го Апрѣля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.